

დაიშვება საჯარო განხილვისათვის

სააქციო საზოგადოება

„ინდუსტრია-ინვესტი“

2007 სამეურნეო წლის ანგარიში

აქციონერთა საერთო კრება –
2008 წლის 17 მაისს

ეს ანგარიში ხელმისაწვდომია:

კომპანიის სათაო ოფისში –
ქ. ბათუმი, ერას ქ., № 37, ოფისი 19;

საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურში –
თბილისი, თავისუფლების მოედანი, № 7;

სს „საქართველოს საფონდო ბირჟაზე“ –
თბილისი, ილია ჭავჭავაძის გამზირი, № 74^ა.

ქ. ბათუმი

**საქართველოს ფინანსური მონიტორინგის
სამსახურს**

- 1) წლიური ანგარიშის წარდგენის თარიღი (ივსება სამსახურში): _____
- 2) წლიური ანგარიში შედგენილია **2007 წლის** სამეურნეო წლისთვის.
- 3) ანგარიშის წარმდგენი საწარმო (წესდების შესაბამისად) – **სააქციო საზოგადოება „ინდუსტრია-ინვესტი“**.
- 4) ანგარიშის რეგისტრაციის ნომერი (ივსება კომისიაში): -----
- 5) ანგარიშის წარმდგენი საწარმოს:
 - იურიდიული მისამართი და ოფისი – **ქ. ბათუმი, ერას ქ. № 37, ოფისი 19,**
 - საფოსტო მისამართი – **ს/ყ 54, 6000, ბათუმი,**
 - ტელეფონის ნომერი – **8 (995222) 7-05-96,**
ფაქსის ნომერი - **8 (995222) 7-05-96,**
- 6) გამოშვებული და ბრუნვაში არსებული ფასიანი ქაღალდების შეფასება (სამეურნეო წლის დასასრულისათვის არსებული ღირებულების საფუძველზე):
 - **303,544.80 ლარი (სამასსამითას ხუთასორმოცდაოთხი ლარი და 80 თ).**
- 7) ეს არ არის საწარმოს **პირველი წლიური ანგარიში საქართველოს ფასიანი ქაღალდების ეროვნული კომისიის წესების შესაბამისად.**

წლიური ანგარიშის შინაარსი:

საკითხი I.	საწარმოს საქმიანობა
საკითხი II.	საწარმოს ქონება
საკითხი III.	სასამართლო პროცესი
საკითხი IV.	საკითხების გატანა აქციონერთა საერთო კრებაზე
საკითხი V.	საწარმოს ფასიანი ქაღალდებით ვაჭრობა
საკითხი VI.	საწარმოს დავალიანება
საკითხი VII.	მმართველი ორგანოს მიერ საწარმოს ფინანსური მდგომარეობისა და საქმიანობის შედეგების მიმოხილვა და ანალიზი
საკითხი VIII.	საწარმოს მფლობელობაში არსებული ფასიანი ქაღალდების საბაზრო რისკი
საკითხი IX.	ფინანსური ანგარიშგებები
საკითხი X.	საწარმოს მიერ შერჩეული აუდიტორის შეცვლა
საკითხი XI.	მმართველი ორგანოს წევრები და სხვა მნიშვნელოვანი თანამდებობის პირები
საკითხი XII.	საწარმოს ხელმძღვანელთა ანაზღაურება
საკითხი XIII.	პირები, რომლებიც საერთო კრებაზე ხმათა 5%-ს ან მეტს ფლობენ ან აკონტროლებენ
საკითხი XIV.	დაკავშირებული მხარეები და უერთიერთობები
საკითხი XV.	დამადასტურებელი დანართები და მიმდინარე ანგარიშები
საკითხი XVI.	ხელმოწერები

საკითხი I. საწარმოს საქმიანობა

ა) **საქმიანობის ძირითადი არსის აღწერა** - სააქციო საზოგადოება ფასიანი ქაღალდების საბროკერო კომპანია „ინდუსტრია-ინვესტი“ (შემდგომში - „საწარმო“) დაფუძნდა 1995 წლის 27 ივნისს სააქციო საზოგადოების პრივატიზაციის სპეციალიზებული საინვესტიციო ფონდის „ინდუსტრია-ინვესტი“ სახით. საწარმო იძენდა და განკარგავდა საპრივატიზაციო ბარათებს ფულისა და საწარმოს აქციების სანაცვლოდ და ცვლიდა მათ სახელმწიფო საკუთრებაში არსებული საწარმოების პრივატიზაციის პროცესში გამოშვებულ ფასიან ქაღალდებზე, ახდენდა ინვესტირებასა და რეინვესტირებას ფასიან ქაღალდებში და ვაჭრობას ფასიანი ქაღალდებით.

საწარმო 1997 წლის 16 აპრილს გარდაიქმნა სააქციო საზოგადოებად საინვესტიციო-საფინანსო კომპანიად „ინდუსტრია-ინვესტად“. საწარმოს საქმიანობის ძირითადი საგანი იყო სახსრების დაბანდება ფასიან ქაღალდებში, ფასიანი ქაღალდების ყიდვა-გაყიდვა; ფულის დაბანდება ან მისი გადაქცევა სხვა სახის ქონებად.

საწარმო 2000 წლის 13 მაისს გარდაიქმნა სააქციო საზოგადოებად ფასიანი ქაღალდების საბროკერო კომპანიად „ინდუსტრია-ინვესტად“. საქართველოს კანონის „ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ“ 23-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად საწარმოს შეეძლო მხოლოდ ფასიანი ქაღალდების საბროკერო კომპანიის სახით საქმიანობა.

საწარმო 2007 წლის 19 მაისს გარდაიქმნა სააქციო საზოგადოებად „ინდუსტრია-ინვესტად“. საწარმოს საქმიანობის ძირითადი საგანია ფინანსური სახსრების მოზიდვა და ინვესტირება. საწარმოს შეუძლია განახორციელოს სხვა ნებისმიერი საქმიანობა საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

ბ) **სხვა საწარმოებთან შერწყმა ან სხვა საწარმოების შექმნა** - სხვა საწარმოებთან შერწყმა არ მომხდარა.

1999 წლის 3 მარტს საწარმოს მიერ დაფუძნებულ იქნა შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება ფასიანი ქაღალდების საბროკერო კომპანია „ინდუსტრია-ბროკერი“ (100 პროცენტის საწარმოს საკუთრებით), რომელიც 2000 წლის 22 აგვისტოს გარდაქმნილ იქნა შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებად სადაზღვევო ბროკერად „ინდუსტრია-ბროკერად“. საწარმოს აქციონერთა საერთო კრების 2007 წლის 19 მაისის გადაწყვეტილებით შვილობილი კომპანია შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება სადაზღვევო ბროკერი „ინდუსტრია-ბროკერი“ შეერწყა საწარმოს, რაც სათანადოდ დაფიქსირებულია მარეგისტრირებელ ორგანოში – ბათუმის საგადასახადო ინსპექციაში.

გ) **ლიკვიდაციასთან დაკავშირებით წარმართული ნებისმიერი პროცესი** - ლიკვიდაციასთან დაკავშირებით არავითარი პროცესი არ წარმართულა.

დ) **ცვლილებები საწარმოო საზებსა თუ მომსახურებაში** - ცვლილებები მომსახურების სახეებში არ მომხდარა.

ე) **აქტივების მნიშვნელოვანი შექმნა ან გასხვისება** - საანგარიშგებო პერიოდში საწარმომ, ფინანსური მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით, გაყიდა 27,276 ლარის საბალანსო ღირებულების აქციები.

ვ) **განხორციელებული საქმიანობა – ძირითადი პროდუქციისა თუ მომსახურების წარმოების, გასაღების და მათთან დაკავშირებული შემოსავლების აღწერით** - საწარმო 2007 წლის 19 მაისამდე საფონდო ბირჟაზე და ბირჟის გარეთ ახდენდა ფასიანი ქაღალდების, მათ შორის აქციების ყიდვა-გაყიდვას როგორც საკუთარი სახსრებით, ისე კლიენტების დავალებით, აგრეთვე

ახორციელებდა და ამჟამადც ახორციელებს თამასუქების გამოშვებასა და შექმნას (არასაჯარო შეთავაზებით), იღებდა და ოდებს დივიდენდებს საპორტფელო ინვესტიციებიდან.

საწარმოს მიერ განხორციელებულ საქმიანობასთან დაკავშირებული შემოსავლები მოყვანილია ქვემოთ მოცემულ ცხრილში:

ლარი

მაჩვენებელი	წლები				
	2007	2006	2005	2004	2003
შემოსავალი საწარმოს კუთვნილი (სხვა სააქციო საზოგადოებების) ფასიანი ქაღალდების რეალიზაციიდან	43,262.00	55,154.40	15,273.66	16,447.80	104,592.98
შემოსავალი საბროკერო საქმიანობიდან	6,634.00	10,093.85	11,100.55	12,225.00	10,327.89
საპროცენტო შემოსავლები (თამასუქების შექმნიდან)	20,124.00	18,817.40	19,420.74	35,961.71	46,485.21
დივიდენდები	1,564.00	148.20	49.40	-	-
ძირითადი საშუალებების იჯარიდან მიღებული შემოსავლები	5,768.00	4,588.00	6,007.00	8,515.00	624.00
ძირითადი საშუალებების რეალიზაციიდან მიღებული შემოსავლები	200.00	-	-	-	3,433.50
განსაკუთრებული შემოსავლები	2,881.00	-	-	339.20	1,085.00
მთელი შემოსავალი	80,443.00	88,801.85	51,851.35	73,488.71	166,446.76

ზ) ახალი პროდუქციის განვითარება (თუ ეს ინფორმაცია საზოგადოებისთვის უკვე ღიაა), ნედლეულის ხელმისაწვდომობა და საქმიანობის სეზონური ხასიათი - საწარმოს ახალი სახეობის მომსახურება საანგარიშგებო წელს არ დაუნერგავს. საწარმო არის საფინანსო ბაზრის მონაწილე და მის საქმიანობაზე სეზონურობა არსებით გავლენას ვერ ახდენს.

თ) პატენტის ან ლიცენზიის მინიჭება - საწარმოს არ გააჩნია.

ი) კლიენტზე (კლიენტებზე) დამოკიდებულება, ასევე მასზე (მათზე) დამოკიდებული შემოსავლების პროცენტი - საქართველოს საფინანსო, კერძოდ საფონდო ბაზარზე არსებული მდგომარეობის (დივიდენდური და აქციების ყიდვა-გაყიდვისას ფასთა სხვაობებიდან შემოსავლების პრაქტიკულად არ არსებობის) გამო, საწარმოს საქმიანობა (რეალური ფულადი ნაკადების მოძრაობა) მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული კლიენტების მიერ საწარმოს მიერ არასაჯარო შეთავაზებით გამოშვებული ფასიანი ქაღალდების - თამასუქების შექმნაზე საწარმოს განკარგულებაში არსებული ფინანსური რესურსების შესაბამისად.

2003 წელს კლიენტებზე დამოკიდებულმა შემოსავალმა (შემოსავალმა საბროკერო საქმიანობიდან და საპროცენტო შემოსავლებმა თამასუქების შექმნიდან) შეადგინა მთელი შემოსავლების - 34,13%, 2004 წელს - 73.49%, 2005 წელს - 58.86%, 2006 წელს - 32.56%, ხოლო 2007 წელს - 33.3%.

კ) კვლევა-განვითარებაზე გაწეული მნიშვნელოვანი დანახარჯები - კვლევა-განვითარებაზე მნიშვნელოვანი დანახარჯები არ გაწეულა.

ლ) თანამშრომელთა რაოდენობა

2003 წ.	2004 წ.	2005 წ.	2006 წ.	2007 წ.
10	6	6	6	6

მ) საწარმოს პროდუქციისა ან მომსახურების ბაზრის კონკურენტული პირობების აღწერა კონკურენტების რაოდენობისა და, თუ ცნობილია, საწარმოს კონკურენტუნარიანობის მითითებით – ინფორმაცია არა არის.

საკითხი II. საწარმოს ქონება

ძირითად მატერიალურ აქტივთა აღწერა საწარმოო საშუალებებისა და მათი მდგომარეობების ჩათვლით:

- ა) 71,39 კვადრატული მეტრი ფართის ოფისი ქ. ბათუმში (ერას ქ. № 37, ოფისი 19, ორსართულიანი შენობის პირველ სართულზე), რომლის საწყისი ღირებულებაა (შეძენის ფასისა და კაპიტალურ რემონტზე ხარჯების გათვალისწინებით) 20,000 ლარი, ღირებულება გადაფასების შემდეგ – 60,000 ლარი და რომელზეც დარიცხულია ცვეთა – 13,200 ლარი;
- ბ) 1512 კვადრატული მეტრი არასაწარმოო ფართი ქ. თბილისში (ჯიქიას ქ. № 4, შვიდსართულიანი ადმინისტრაციული შენობის მე-6 და მე-7 სართულები), რომლის საწყისი ღირებულებაა 79,985 ლარი, ღირებულება გადაფასების შემდეგ – 378,00 ლარი და რომელზეც დარიცხულია ცვეთა – 83,160 ლარი;
- გ) მანქანა-დანადგარების მუხლით ბალანსში აღრიცხულია 6,5 კვტ-ის სიმძლავრის ელექტროგენერატორი Honda SH 6500Dx, რომლის საწყისი ღირებულებაა 600 ლარი და რომელზეც დარიცხულია ცვეთა – 400 ლარი. გენერატორი მუშა მდგომარეობაშია;
- დ) ოფისის აღჭურვილობა წარმოდგენილია კომპიუტერული ტექნიკით, ასლგადამღები აპარატითა და ტელეფონი-ფაქსით, აგრეთვე მობილური ტელეფონებით, რომელთა საწყისი ღირებულებაა 17,2046 ლარი, ხოლო დარიცხულია ცვეთა – 9,597 ლარი. აღჭურვილობა მუშა მდგომარეობაშია;
- ე) საოფისე ავეჯისა და სხვა ინვენტარის საწყისი ღირებულებაა 3,656.40 ლარი, ხოლო დარიცხულია ცვეთა 1,766 ლარი. ქონების მდგომარეობა კარგია;
- ვ) მატერიალურ აქტივებში ასახულია 140 ლარის სპეციალური წიგნების ბიბლიოთეკა, აგრეთვე ორსართულიან მრავალბინიან შენობაში განთავსებული ოფისის პროპორციული მიწის ნაკვეთის ღირებულება 49,24 ლარის ოდენობით.

სულ ძირითადი საშუალებების ნარჩენი საბალანსო ღირებულება საანგარიშო წლის ბოლოსათვის შეადგენს 353,054 ლარს და ცვეთის, გადაფასებისა და ახალი ქონების შეძენის გათვალისწინებით წლის დასაწყისთან შედარებით გაიზარდა 253,659 ლარით.

ანგარიშში შეტანილ აქტივებზე და ქონებაზე შეზღუდვები დადებული არ იყო და არ არის.

საკითხი III. სასამართლო პროცესი

საწარმოსთან დაკავშირებით აღძრული ან წარმოებული სასამართლო პროცესის დეტალური ანგარიში:

- საანგარიშო პერიოდში საწარმო, როგორც მოსარჩელე აწარმოებდა 3 სასამართლო პროცესს.

1. მოსარჩელე: სს „ინდუსტრია-ინვესტი“;

მოპასუხე: შპს „მემბრანა“; მის: თბილისი, ჯიქიას ქ. № 4.

ინფორმაცია ამის შესახებ იხილეთ 2006 სამეურნეო წლის ნახევარწლიურ ანგარიშში, საკითხი IV. პროცესი დასრულდა მორიგებით, მაგრამ ჯერჯერობით სასამართლოს დადგენილება მორიგების შესახებ არ მიგვიღია.

2. მოსარჩელე: სს „ინდუსტრია-ინვესტი“;

მოპასუხე: შპს „ბათუმის ლუდის ქარხანა“.

ინფორმაცია ამის შესახებ იხილეთ 2007 სამეურნეო წლის ნახევარწლიურ ანგარიშში, საკითხი IV. მოპასუხემ საწარმოს მიმართ დავალიანება დაფარა 2007 წლის მეორე ნახევარში.

3. მოსარჩელე: სს „ინდუსტრია-ინვესტი“;
მოპასუხე: სააქციო საზოგადოება „ტრანსფორმატორი და ელექტროხელსაწყო“;
მისამართი: ქ. ბათუმი, ოძელაშვილის ქ., № 20.

სასარჩელო განცხადება შეტანილ იქნა აქციების გამოსყიდვაზე უარის თქმის გამო ზიანის ანაზღაურების თაობაზე. საწარმო ფლობს სააქციო საზოგადოების „ტრანსფორმატორისა და ელექტროხელსაწყო“ 27,428 ჩვეულებრივ სახელობით აქციას.

საწარმომ თავისი 2007 წლის 01 მაისის № 01/13-17 წერილით მოსთხოვა სააქციო საზოგადოებას „ტრანსფორმატორსა და ელექტროხელსაწყო“ აღნიშნული აქციების გამოსყიდვა. აქციების გამოსყიდვის მოთხოვნა გამოწვეულია შემდეგი გარემოებებით:

საჯარო სამართლის იურიდიულმა პირმა „საწარმოთა მართვის სააგენტომ“, როგორც სააქციო საზოგადოების „ტრანსფორმატორისა და ელექტროხელსაწყო“ დომინანტმა აქციონერმა, ანუ საწესდებო კაპიტალის 75 პროცენტზე მეტის მფლობელმა, 2006 წლის 20 სექტემბერს გამოსცა № 1-3/604 ბრძანება „ს.ს. „ტრანსფორმატორი და ელექტროხელსაწყო“ საწესდებო კაპიტალში ცვლილებების შეტანის შესახებ“. ამ ბრძანების პირველი პუნქტით, აღნიშნული საზოგადოების საწესდებო კაპიტალში შეტანილ იქნა საზოგადოების ბალანსზე რიცხული შენობა-ნაგებობებზე დამაგრებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების 51,400 კვ.მ მიწის ნაკვეთი (მდებარე ქ. ბათუმში, ოძელაშვილის ქუჩის № 20-ში), ღირებულებით 1,799,000 ლარი. ამავე ბრძანების მე-2 პუნქტით, ზემოაღნიშნული ცვლილებების შედეგად, სსიპ „საწარმოთა მართვის სააგენტომ“ 1,799,000 ლარით, ანუ 3,227,359 ლარიდან 5,026,360 ლარამდე გაზარდა სს „ტრანსფორმატორი და ელექტროხელსაწყო“ საწესდებო კაპიტალი.

ბათუმის საგადასახადო ინსპექციამ 2006 წლის 12 დეკემბრის № 4336 ბრძანებით სათანადო ცვლილებები შეიტანა სამეწარმეო რეესტრში.

იმავედროულად, სახელმწიფომ, სხვა აქციონერებისათვის სათანადო წინადადებების მიუწოდებლად, თავის საკუთრებაში არსებული სს „ტრანსფორმატორებისა და ელექტროხელსაწყო“ აქციების რიცხვი, 1,799,000 ცალით გაზარდა და, შესაბამისად, მინორიტარი (მცირე აქციების მფლობელების) აქციონერების წილის შემცირების ხარჯზე, ასევე გაიზარდა მისი წილიც ამ საზოგადოების საწესდებო კაპიტალში. სახელმწიფოს მიერ სს „ტრანსფორმატორებისა და ელექტროხელსაწყო“ ერთი აქციის შეძენის ფაქტიურმა ღირებულებამ შეადგინა 1 (ერთი) ლარი (1,799,000 ლარი : 1,799,000 აქცია). სს „ტრანსფორმატორებისა და ელექტროხელსაწყო“ ერთ აქციის ნომინალური ღირებულებაა 1 ლარია.

სამწუხაროდ, საწარმომ მაშინვე ვერ მოახერხა ამ გადაწყვეტილებაზე კანონით განსაზღვრული ადეკვატური იურიდიული ქმედებების განხორციელება, რამდენადაც აღნიშნული გადაწყვეტილების შესახებ საწარმომ გაიგო სრულიად შემთხვევით, სიტყვიერი ინფორმაციის საფუძველზე, 2007 წლის აპრილის შუა რიცხვებში. ამით დაირღვა „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის 54-ე მუხლის 54.1¹ პუნქტის მოთხოვნა, რომ საწესდებო კაპიტალის 75 პროცენტზე მეტის მფლობელი აქციონერის მიერ მიღებული გადაწყვეტილების შესახებ დანარჩენ აქციონერებს ეგზავნებათ შეტყობინება.

შემდგომ, მხოლოდ საწარმოს 2007 წლის 19 აპრილის № 01/03014 წერილობითი მოთხოვნის საფუძველზე, სააქციო საზოგადოებამ „ტრანსფორმატორმა და ელექტროხელსაწყო“ თავისი 2007 წლის 27 აპრილის № 55 წერილით წარმოუდგინა საწარმოს ზემოთაღნიშნული ორი ბრძანების ნოტარიულად დამოწმებული ასლები.

სს „ტრანსფორმატორი და ელექტროხელსაწყო“ გადაწყვეტილება საწესდებო კაპიტალის 75 პროცენტზე მეტის მფლობელის (დომინანტი აქციონერის) – სახელმწიფოს უფლებამოსილი წარმომადგენლის – სსიპ „საწარმოთა მართვის სააგენტოს“ წილის ცალმხრივად გაზრდამ შელახა სხვა აქციონერების კანონიერ ინტერესები.

კერძოდ, სსიპ „საწარმოთა მართვის სააგენტოს“ ზემოთაღნიშნულ ბრძანებაში არ არის მითითებული, თუ რა წესით ხდება კაპიტალის ცვლილება; როგორ უნდა მოხდეს გაზრდილი საწესდებო კაპიტალის დასაფარავად აქციების გამოშვება და რა სახის იქნება ეს აქციები; როგორია კაპიტალის მომატების ვადები; როგორ შესთავაზებენ ამ აქციებს სს „ტრანსფორმატორისა და ელექტროხელსაწყო“ არსებულ აქციონერებს და ა.შ. ყოველივე ეს უნდა ასახულიყო ბრძანებაში აქციების ემისიის შესახებ, როგორც ამას მოითხოვს „ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ“ საქართველოს კანონი და „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონი. ამ უკანასკნელის 53¹ მუხლის მეორე პუნქტის თანახმად, საზოგადოებამ, რომელიც აპირებს წესდებაში ცვლილებების შეტანას, „დეტალურად უნდა აღწეროს გადასაწყვეტი საკითხი, მასთან დაკავშირებული გამოსყიდვის უფლება და მისი განხორციელების წესი“. ეს კი სს „ტრანსფორმატორისა და ელექტროხელსაწყო“ მიერ არ მომხდარა.

ამდენად, მთლიანად დაირღვა საქართველოს კანონის „მეწარმეთა შესახებ“ 59-ე მუხლის პირველი პუნქტის, ასევე მე-7 პუნქტის მოთხოვნები. ამ უკანასკნელის თანახმად, „სააქციო კაპიტალის მომატების .. ყველა შემთხვევაში აქციონერებს აქვთ აქციების შეძენის უპირატესი უფლება მათ საკუთრებაში არსებული აქციათა ნომინალური ღირებულების პროპორციულად“. ეს უფლება სააქციო საზოგადოების „ტრანსფორმატორი და ელექტროხელსაწყო“ სახელმწიფოს გარდა სხვა აქციონერებს (მათ შორის სს „ინდუსტრია-ინვესტს“) არ მიეცათ.

ამრიგად, სს „ტრანსფორმატორი და ელექტროხელსაწყო“ თაობაზე საჯარო სამართლის იურიდიული პირის „საწარმოთა მართვის სააგენტოს“ 2006 წლის 20 სექტემბრის № 1-3/604 ბრძანება არ შეიცავს კანონით იმპერატიულად დადგენილ არცერთ მონაცემს.

სს „ტრანსფორმატორი და ელექტროხელსაწყო“ საწესდებო კაპიტალში შეტანილი ზემოთაღნიშნული ცვლილებებით, უკანონოდ, მკვეთრად გაიზარდა სახელმწიფოს (კონკრეტული ციფრები არ ასახულა ზემოთ მითითებულ ბრძანებაში, თუმცა საწარმოს მიერ კანონიერი გზით მოპოვებული ინფორმაციით ის 86.61 პროცენტიდან 91.4 პროცენტამდე გაიზარდა) და, შესაბამისად, შემცირდა სხვა აქციონერების, განსაკუთრებით მინორიტარი (წვრილი) აქციონერების წილი. კერძოდ, 0.85 პროცენტიდან 0.546 პროცენტამდე შემცირდა სს „ინდუსტრია-ინვესტის“ პროცენტული წილი სს „ტრანსფორმატორისა და ელექტროხელსაწყო“ კაპიტალში და, მაშასადამე, შესუსტდა საწარმოს მიერ სს „ტრანსფორმატორისა და ელექტროხელსაწყო“ მართვაში მონაწილეობის კანონიერი შესაძლებლობა (იხილეთ ამ სარჩელის დანართები № 3, 6, 7).

ამდენად, სს „ტრანსფორმატორი და ელექტროხელსაწყო“ თაობაზე დომინანტი აქციონერის – საჯარო სამართლის იურიდიული პირის „საწარმოთა მართვის სააგენტოს“ 2006 წლის 20 სექტემბრის № 1-3/604 ბრძანებით არსებითად შეილახა საწარმოს, როგორც სს „ტრანსფორმატორისა და ელექტროხელსაწყო“ აქციონერის უფლებები. შესაბამისად, „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის 53¹ მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე, მოსარჩელემ – სს „ინდუსტრია-ინვესტმა“ მოიპოვა მოპასუხისაგან - სს „ტრანსფორმატორისა და ელექტროხელსაწყოსაგან“ აქციების გამოსყიდვის უფლება.

სს „ინდუსტრია-ინვესტმა“, სს „ტრანსფორმატორისა და ელექტროხელსაწყო“ არასწორი ქმედებების შესახებ ოფიციალური შეტყობინების მიღებისთანავე (2007 წლის 27 აპრილს), „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის 53¹ მუხლის მე-3 პუნქტით დადგენილ ვადაში, 2007 წლის 01 მაისის № 01/13-17 წერილით სააქციო საზოგადოებას „ტრანსფორმატორი და

ელექტროხელსაწყოს“ მოსთხოვა სს „ინდუსტრია-ინვესტის“ საკუთრებაში არსებული სს „ტრანსფორმატორისა და ელექტროხელსაწყო“ 27,428 აქციების გამოსყიდვა.

სამწუხაროდ, მოთხოვნის მიღებიდან 30 დღის განმავლობაში სს „ტრანსფორმატორი და ელექტროხელსაწყო“ საწარმოს არსებითი პასუხი არ გასცა, რითაც, „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის 53¹ მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, სს „ტრანსფორმატორებისა და ელექტროხელსაწყო“ სამეთვალყურეო საბჭომ გამოსასყიდი აქციების თაობაზე გადაწყვეტილების მიღების ყველა ვადა დაარღვია.

შესაბამისად, აშკარა გახდა, რომ მოპასუხემ უარი განაცხადა აქციების გამოსყიდვაზე.

ამრიგად, მთლიანობაში, მოპასუხის მიერ დაირღვა „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის 53¹ მუხლი, 54-ე მუხლის 54.1¹ პუნქტი, 59-ე მუხლის 59.1 და 59.7 პუნქტები.

ყოველივე ზემოთქმულის საფუძველზე საწარმომ ბათუმის საქალაქო სასამართლოს მოსთხოვა, რომ მოსარჩელის, სააქციო საზოგადოების „ინდუსტრია-ინვესტის“, სასარგებლოდ მოპასუხისათვის, სააქციო საზოგადოებისათვის „ტრანსფორმატორისა და ელექტროხელსაწყო“ დაეკისრებია მოსარჩელეს საკუთრებაში არსებული სს „ტრანსფორმატორი და ელექტროხელსაწყო“ 27,427 ჩვეულებრივი სახელობითი აქციების გამოსყიდვა იმავე ღირებულებით, რა ღირებულებითაც სახელმწიფომ 2006 წლის 20 სექტემბრის № 1-3/604 ბრძანებით შეიძინა მისი აქციები; ანუ თითოეული აქციის გამოსყიდვა მოეხდინა 1 (ერთ) ლარად, ანუ მთლიანად ყველა 27,427 აქციისა – 27,427 (ოცდაშვიდიათას ოთხასოცდაშვიდ) ლარად;

სასამართლომ 2007 წლის 11 დეკემბერს გამოაცხადა თავისი გადაწყვეტილება – მოპასუხეს დააკისრა სარჩელის მთლიანად დაკმაყოფილება. სამწუხაროდ, სასამართლოს გადაწყვეტილება საწარმოს ამ ანგარიშის შედგენის მომენტისათვის არ მიუღია.

- საწარმოს აქციონერს არ შეუტანია სარჩელი საწარმოს სახელით მესამე პირის წინააღმდეგ საქართველოს კანონის “მეწარმეთა შესახებ” 53-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად.

საკითხი IV. საკითხების გატანა აქციონერთა საერთო კრებაზე

საანგარიშო პერიოდში ჩატარდა აქციონერთა ერთი რიგითი საერთო კრება. ინფორმაცია ამის შესახებ იხილეთ 2007 სამეურნეო წლის ნახევარწლიურ ანგარიშში, საკითხი VII.

საკითხი V. საწარმოს ფასიანი ქაღალდებით ვაჭრობა

საწარმოს ფასიანი ქაღალდები, ჩვეულებრივი სახელობითი აქციები, დაშვებულია სავაჭროდ საქართველოს საფონდო ბირჟაზე. საწარმოს აქციებით ბირჟაზე ვაჭრობისას დაფიქსირებული ყველაზე მაღალი და დაბალი ფასები:

2002 წლის III კვარტალი - მაქსიმალური - 0.11 ლარი; მინიმალური - 0.11 ლარი;
2002 წლის IV კვარტალი - მაქსიმალური - 0.11 ლარი; მინიმალური - 0.11 ლარი;
2003 წლის I კვარტალი - მაქსიმალური - 0.11 ლარი; მინიმალური - 0.11 ლარი;
2003 წლის II კვარტალი - მაქსიმალური - 0.11 ლარი; მინიმალური - 0.11 ლარი;
2003 წლის III კვარტალი - მაქსიმალური - 0.11 ლარი; მინიმალური - 0.10 ლარი;
2004 წლის IV კვარტალი - მაქსიმალური - 0.10 ლარი; მინიმალური - 0.10 ლარი.
2005 წლის I კვარტალი - მაქსიმალური - 0.10 ლარი; მინიმალური - 0.10 ლარი;
2006 წლის IV კვარტალი - მაქსიმალური - 0.10 ლარი; მინიმალური - 0.10 ლარი.
2007 წლის I კვარტალი - მაქსიმალური - 0.10 ლარი; მინიმალური - 0.10 ლარი;
2007 წლის II კვარტალი - მაქსიმალური - 0.10 ლარი; მინიმალური - 0.10 ლარი;

საკითხი VI. შერჩეული ფინანსური ინფორმაცია

ფინანსური კატეგორიები	წლები, ლარებში				
	2007	2006	2005	2004	2003
1	2	3	4	5	6
ა) საოპერაციო შემოსავლები	49,896	65,342	26,374	28,673	114,919
ბ) მოგება (+) ან ზარალი (-) ოპერაციებიდან	- 8,236	3,598	- 3,250	-17,478	+ 20,189.68
გ) მოგება (+) ან ზარალი (-) ჩვეულებრივ აქციაზე	0.002713	+0.001959	-0.00974	- 0.00524	+ 0.006
დ) აქტივების ჯამი	434,800	385,908	403,944	437,992	421,744.81
ე) გრძელვადიანი ვალდებულებები	-	-	-	-	-
ვ) ფულადი დივიდენდები ჩვეულებრივ აქციაზე	-	-	-	-	0.003
გამოშვებულია ჩვეულებრივი სახელობითი აქცია - ცალი	3,035,448	3,335,448	3,335,448	3,335,448	3,335,448
გამოშვებული ჩვეულებრივი სახელობითი აქციის ნომინალი	10 თეთრი	10 თეთრი	10 თეთრი	10 თეთრი	10 თეთრი

საანგარიშგებო წელს არ ყოფილა ისეთი არსებით მოვლენა, რომელსაც შეეძლო ზემოთ მოყვანილ ფინანსურ კატეგორიათა სხვადასხვა წლის მონაცემებზე მნიშვნელოვანი გავლენა მოეხდინა შედარების შესაძლებლობის თვალსაზრისით.

საკითხი VII. მმართველი ორგანოს მიერ საწარმოს ფინანსური მდგომარეობისა და საქმიანობის შედეგების მიმოხილვა და ანალიზი

- ა) საწარმომ დასახული საქმიანობები ვერ შეასრულა, თუმცა, წელი მოგებით დაამთავრა. ეს ძირითადად განპირობებულია შემდეგი ორი გარემოებით:
 - სხვა სააქციო საზოგადოებების აქციებზე, რომლებიც არის საწარმოს პორტფელში, არ იქნა მიღებული ადეკვატური დივიდენდები;
 - საფონდო ბაზარზე საბროკერო მომსახურებაზე არ იყო სათანადო მოთხოვნა;
 - საწარმოს არ გააჩნია საკმარისი რესურსები ფინანსურ სეგმენტში აქტიური საქმიანობისათვის.
- ბ) რაიმე მოვლენას არსებითი დადებითი ან უარყოფითი გავლენა არ ჰქონია შემოსავლებზე;
- გ) მმართველ ორგანოში მოხდა შემდეგი ცვლილებები:
 - დირექტორების რიცხვი სამიდან შემცირდა ორამდე - გაუქმდა ფინანსური დირექტორის თანამდებობა და ბატონი თეიმურაზ ბედინაძე განთავისუფლდა აღნიშნული თანამდებობიდან; სამეთვალყურეო საბჭოს წევრად ბატონ ედნარ ხვიჩიას ნაცვლად არჩეულ იქნა ბატონი მერაბ ართმელაძე.
- დ) თანამშრომლებთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი ცვლილება არ მომხდარა;
- ე) საწარმოს დახურვა ან მომსახურების გაწვევის შეწყობა არ მომხდარა;
- ვ) შემოსავლებისა და მათზე გაწეული ხარჯების დინამიკა შემდეგია:

მაჩვენებელი	ლარები	
	2007 წელი	2006 წელი
ა) შემოსავლები რეალიზაციიდან - სულ	74,936	83,278
ბ) ხარჯები - სულ	66,981	66,332
გ) ხარჯები 1 ლარის საოპერაციო შემოსავალზე	0.89384	0.79651

- ზ) საანგარიშგებო წელს საწარმოს მიერ შეძენილი ქონების შესახებ - საანგარიშო წელს შეძენილ იქნა 3,378 ლარის ღირებულების ნოუთბუკი, 1,437 ლარის ღირებულების ბუნებრივი

აირთ გამოთბობელი და მისი მონტაჟი, 900 ლარის ღირებულების 2 სავარძელი, (იხილეთ ამ ანგარიშის II საკითხი, აგრეთვე ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები 7 და 7.1);

- თ) საწარმოს სასაქონლო-მატერიალურ მარაგები არ აქვს (იხილეთ ფინანსური ანგარიშგების შენიშვნა 12);
- ი) საწარმოს გრძელვადიანი ვალდებულებები არ გააჩნია;
მთლიანი მიმდინარე ვალდებულებები - 2007 წლის 31 დეკემბრისათვის 2006 წლის 31 დეკემბერთან შედარებით გაიზარდა 13,182 ლარით (მოზიდული სახსრების ხარჯზე მოხდა თამასუქების შექმნა). საწარმოს არ გააჩნია ვადაგადაცილებული ვალდებულებები. 2007 წლის 31 დეკემბრისათვის ბალანსში ასახული საგადასახადო ვალდებულებები დაფარულია დადგენილ ვალებში 2008 წლის I კვარტალში.
- კ) საწარმოს ბანკებში საკრედიტო ხაზები – საკრედიტო ხაზი არ არის გახსნილი;
- ლ) სამართლებრივი აქტი რასაც შეეძლო რაიმე გავლენის მოხდენა საწარმოს ფინანსურ მდგომარეობაზე, არ გამოცემულა, მათ შორის სასამართლოს არ მიუღია რაიმე გადაწყვეტილება.

საკითხი VIII. საწარმოს მფლობელობაში არსებული ფასიანი ქაღალდების საბაზრო რისკი

1. საწარმო ახდენს ფასიანი ქაღალდებით ინვესტირებას და მათი საბალანსო ღირებულება 2007 წლის ბოლოსათვის შეადგენს 9,885 ლარს ანუ საწარმოს აქტივების 2.27 %-ს ანუ წლის დასაწყისთან მიმართებაში მისი წილი აქტივებში შემცირდა 4.77 საპროცენტო პუნქტით.

ინფორმაცია ფასიანი ქაღალდების პორტფელის შესახებ იხილეთ ამ ანგარიშის № 2 დანართში.

საწარმოს პორტფელის 10 %-ს ან მეტს შეადგენს შემდეგი სამრეწველო და სხვა სეგმენტების ფასიანი ქაღალდები:

ა) მანაქნათმშენებლობა - 63.58 %; ბ) ფასიანი ქაღალდების ინფრასტრუქტურა – 36.42 %.

2. ფასიანი ქაღალდების შესახებ ინფორმაცია მოცემულია ამ ანგარიშის № 2 დანართის ცხრილში. ვფიქრობთ, ლიკვიდურია საქართველოს საფონდო ბირჟის აქციები.

ფასიანი ქაღალდების შექმნის მიზნით საწარმოს სესხი არ აუღია.

საკითხი IX. ფინანსური ანგარიშგებები

ანგარიშს თან ერთვის ფინანსური სტანდარტების შესაბამისად მომზადებული 2007 სამეურნეო წლის აუდიტებული ფინანსური ანგარიშგება (იხილეთ დანართი № 1), მათ შორის:

- 1. წლიური ბალანსი 2007 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით (დანართი 1.1);
- 2. მოგება-ზარალის წლიური ანგარიშგება 2007 წლის 31 დეკემბრისათვის (ხარჯების კლასიფიკაცია ფუნქციების მიხედვით) (დანართი №1.2);
- 3.. საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება 2007 წლის 31 დეკემბრისათვის (დანართი №1.3);
- 4. ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება 2006 წლის 31 დეკემბრისათვის (პირდაპირი მრთოდი) (დანართი №1.4);
- 5. სააღრიცხვო პოლიტიკა ახსნა-განმარტებითი შენიშვნები (დანართი №1.5);
- 6. ახსნა-განმარტებითი შენიშვნები (დანართი №1.6);
- 7. აუდიტორული დასკვნა სააქციო საზოგადოების „ინდუსტრია-ინვესტის“ 2007 სამეურნეო წლის ფინანსურ ანგარიშგებაზე (დანართი №1.7).

საკითხი X. საწარმოს მიერ შერჩეული აუდიტორის შეცვლა

საწარმოს მიერ 2006 წლის ფინანსური ანგარიშგების შესახებ დასკვნის შესადგენად მოწვეულ აუდიტურ ფირმას დასკვნის გაცემაზე უარი არ განუცხადებია.

საწარმოს საერთო კრების 2007 წლის 19 მაისის გადაწყვეტილებით შეიცვალა აუდიტური ფირმა, რაც განპირობებულია წინა აუდიტური ფირმის მიერ აუდიტორული მომსახურების გაძვირებით (იხილეთ საწარმოს 2007 წლის მიმდინარე ანგარიში – 2007 წლის 21 მაისის წერილი № 01/01-19).

საკითხი XI. მმართველი ორგანოს წევრები და სხვა მნიშვნელოვანი თანამდებობის პირები

სამეთვალყურეო საბჭოს ყოველი წევრის, დირექტორისა და სხვა მნიშვნელოვანი პირის მონაცემები:

საწარმოს სამეთვალყურეო საბჭოს:

ა. თავმჯდომარე – თამაზ ტუნაძე, 60 წლის;
 მოვალეობის შესრულების დაწყების თარიღი - 1995 წლის 27 ივნისი;
 საწარმოში მას სხვა თანამდებობა არ ეკავა; საბჭოს წევრად მისი არჩევა არ მომხდარა მესამე პირთან შეთანხმებით. 1992 წლიდან არის სააქციო საზოგადოების „ბათუმის ფესხაცმელების ფაბრიკის“ დირექტორი, 2003 წლიდან – ამავე საზოგადოების სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე და არის მისი აქციების 48.164 პროცენტის ბენეფიციარი მესაკუთრე.

ბ. თავმჯდომარის მოადგილე – ნოდარ მაღაყმაძე, 60 წლის;
 მოვალეობის შესრულების დაწყების თარიღი - 1995 წლის 27 ივნისი;
 საწარმოში მას სხვა თანამდებობა არ ეკავა; საბჭოს წევრად მისი არჩევა არ მომხდარა მესამე პირთან შეთანხმებით. 1992 წლიდან არის შპს „ნემოს“ დირექტორი მარკეტინგის საკითხებში.

გ. წევრი – მერაბ ართმელაძე, 30 წლის;
 მოვალეობის შესრულების დაწყების თარიღი - 2007 წლის 19 მაისი;
 საწარმოში მას სხვა თანამდებობა არ ეკავა; საბჭოს წევრად მისი არჩევა არ მომხდარა მესამე პირთან შეთანხმებით. 2005 წლიდან 2007 წლის დეკემბრამდე იყო შპს „იურიდიულ-საგადასახადო კონსალტინგის“ ფინანსური დირექტორი.

საწარმოს გენერალური დირექტორი – პლატონ კალოიანი, 61 წლის;
 მოვალეობის შესრულების დაწყების თარიღი - 1995 წლის 27 ივნისი;
 საწარმოში მას სხვა თანამდებობა არ ეკავა.

საწარმოს ინვესტიციების დირექტორი – არჩილ მგელაძე, 31 წლის;
 მოვალეობის შესრულების დაწყების თარიღი - 2000 წლის 13 მაისი;
 1995 წლიდან იყო საწარმოს ეკონომისტი, 1997 წლიდან ფასიანი ქაღალდების სპეციალისტი, შემდგომ დირექტორი ფასიანი ქაღალდებით ვაჭრობის დარგში.

საკითხი XII. საწარმოს ხელძღვანელთა ანაზღაურება

საწარმო მთავარი აღმასრულებელი და ოთხი ყველაზე მაღალანაზღაურებადი პირის წლიური ანაზღაურება:

ლარებში

სახელი, გვარი და თანამდებობა	ხელფასი	ბონუსი	ოფციონები	ბალანსად. კომპენსაცია	პრივილეგიები	სულ ანაზღაურება
1	2	3	4	5	6	7
პლატონ კალოიანი – გენერალური დირექტორი	7,800	-	-	-	-	7,800
თეიმურაზ ბელინაძე – ფინანსური დირექტორი (ყოფილი)	5,500	-	-	-	-	5,500

არჩილ მგელაძე – დირექტორი ფასიანი ქაღალდებით ვაჭრობის დარგში	4,550	–	-	-	4,550
ეთერ ჭილაძე – ბუღალტერი	3,820	–	–	–	3,820
ჯონდო გიორგაძე	2,130	–	–	–	2,130

საკითხი XIII. პირები, რომლებიც საერთო კრებაზე ხმათა 5%-ს ან მეტს ფლობენ ან აკონტროლებენ

საწარმოს აქციონერთა საერთო კრებაზე ხმათა 5 %-ს ან მეტის მფლობელი ფასიანი ქაღალდების მესაკუთრეების ვინაობა და მათი მესაკუთრული ინტერესები:

ფასიანი ქაღალდის კლასი	ბენეფიციარი მესაკუთრის სახელი, გვარი და მისამართი	საკუთრებაში არსებული თანხა და მესაკუთრეობის სახე	საკუთრებაში არსებული ფქ კლასის პროცენტულობა
1	2	3	4
ჩვეულებრივი სახელობითი აქცია	შპს „იურიდიულ-საგადასახადო კონსალტინგი“, ქ. ბათუმი, ვრას, № 37, ოფისი 19	78,267.20 ლარი; ბენეფიციარი, რეგისტრირებული მესაკუთრე	25.784
ჩვეულებრივი სახელობითი აქცია	ნარი აბაშიძე, ქ. ბათუმი, ლორიას, 8	25,166.30 ლარი; ბენეფიციარი, რეგისტრირებული მესაკუთრე	8.290
ჩვეულებრივი სახელობითი აქცია	შს „ბათუმის ფესხაცმლის ფაბრიკა“, ქ. ბათუმი, ტბელ აბუსერიძის ქ., № 11	45,427.20 ლარი; ბენეფიციარი, რეგისტრირებული მესაკუთრე	14.966

ინფორმაცია საწარმოს სამეთვალყურეო საბჭოს წევრებისა და დირექტორების მიერ ფასიანი ქაღალდების მესაკუთრეობის შესახებ:

ფასიანი ქაღალდის კლასი	ბენეფიციარი მესაკუთრის სახელი, გვარი და მისამართი	საკუთრებაში არსებული თანხა და მესაკუთრეობის სახე	საკუთრებაში არსებული ფქ კლასის პროცენტულობა
1	2	3	4
ჩვეულებრივი სახელობითი აქცია	თამაზ ტუნაძე – სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე, საცხოვრებელი	1,303.20 ლარი; ბენეფიციარი, რეგისტრირებული მესაკუთრე	0.429
ჩვეულებრივი სახელობითი აქცია	ნოდარ მაღაყმაძე – სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე	764.40 ლარი; ბენეფიციარი, რეგისტრირებული მესაკუთრე	0.252

ჩვეულებრივი სახელობითი აქცია	მერაბ ართმელაძე - სამეთვალყურეო საბჭოს წევრი	-	-
ჩვეულებრივი სახელობითი აქცია	პლატონ კალოიანი - გენერალური დირექტორი	5,096.90 ლარი; ბენეფიციარი, რეგისტრირებული მესაკუთრე	1.679
ჩვეულებრივი სახელობითი აქცია	არჩილ მგელაძე - დირექტორი ფასიანი ქაღალდებით ვაჭრობის დარგში	330.50 ლარი; ბენეფიციარი, რეგისტრირებული მესაკუთრე	0.109
სულ მაკონტროლებელი და აღმასრულებელი ჯგუფის საკუთრებაში არსებული რაოდენობა		7,495 ლარი;	2.469

საკითხი XIV. დაკავშირებული მხარეები და ურთიერთობები

ბოლო 2 წლის განმავლობაში საწარმოს არ დაუდვია ან შეუთავაზებია ისეთი გარიგება, რომლითაც:

- სამეთვალყურეო საბჭოს რომელიმე წევრს, დირექტორსა და სხვა მნიშვნელოვან პირს;
- საერთო კრებაზე ხმათა 5 %-ს ან მეტის მფლობელ ფასიანი ქაღალდების მესაკუთრე პირს;
- სამეთვალყურეო საბჭოს რომელიმე წევრის ფასიანი ქაღალდის ნომინალურ მფლობელს; ან
- რომელიმე ზემოთ მითითებული პირის ოჯახის წევრს

ამ გარიგებისადმი ჰქონდა ან აპირებს, რომ იქონიოს პირდაპირი ან არაპირდაპირი ინტერესი.

საკითხი XV. დამადასტურებელი დანართები და მიმდინარე ანგარიშები

წლიურ ანგარიშს თან ერთვის:

- ფინანსური ანგარიშგება (იხილეთ დანართი № 1);
- ინფორმაცია ფასიანი ქაღალდების პორტფელის შესახებ (იხილეთ დანართი № 2) .
- 2008 წლის ბიუჯეტი და ფინანსური ანგარიშგების პროფორმა 2008 წლისათვის (იხილეთ დანართი №3).

წლიური საანგარიშო პერიოდის განმავლობაში საწარმომ ერთხელ წარადგინა მიმდინარე ანგარიში.

საკითხი XVI. ხელმოწერები

წლიურ ანგარიშზე ხელმოწერი პირი, საქართველოს კანონის „ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ“ მე-11 მუხლის მე-10 პუნქტის მიხედვით პასუხისმგებელია მასში არსებითი ინფორმაციის გამოტოვებისა და არასწორად გადმოცემისათვის. ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 16^წ მუხლის მე-5 ნაწილის მიხედვით, მმართველი ორგანოს წევრებს დაეკისრებათ ჯარიმა ყალბ ან შეცდომაში შემყვან ანგარიშზე ხელმოწერისათვის.

სააქციო საზოგადოების
„ინდუსტრია-ინვესტის“
გენერალური დირექტორი

პლატონ კალოიანი

სამეთვალყურეო საბჭოს
თავმჯდომარე

თავმჯდომრის მოადგილე

წევრი

თამაზ ტუნაძე

ნოდარ მაღაყმაძე

მერაბ ართმელაძე

სს „ინდუსტრია-ინვესტის“
2007 სამეურნეო წლის ანგარიშის
დანართი № 1

სააქციო საზოგადოება

„ინდუსტრია-ინვესტი“

2007 სამეურნეო წლის
ფინანსური ანგარიშგება

თ ა ვ ს ა რ თ ი

საწარმოს სრული დასახელება	სააქციო საზოგადოება „ინდუსტრია-ინვესტი“
საწარმოს მოკლე დასახელება	სს „ინდუსტრია-ინვესტი“
საიდენტიფიკაციო კოდი	245423992
ადგილმდებარეობა	ქ. ბათუმი, ერას ქ., № 37, ოფისი 19
საფოსტო მისამართი	6001, ბათუმი, ს/ყ 54
სახელმწიფო რეგისტრაციის ნომერი	№ 01\05-02
რეგისტრაციის თარიღი	1995 წლის 11 ივლისი
საკონტაქტო ტელეფონები	(995 222) 70596; (77) 408017
საკონტაქტო პირი	გენერალური დირექტორი ლატონ კალოიანი
ფაქსი	(995 222) 70596
ელ. ფოსტა	Indinvestipaata @yahoo.com

ვებგვერდი	-
გენერალური დირექტორი	პლატონ კალოიანი
ინვესტიციის დირექტორი	არჩილ მგელაძე
საქმიანობის სფერო	ფინანსური სასსრების მოზიდვა და ინვესტირება. საწარმოს შეუძლია განახორციელოს სხვა ნებისმიერი საქმიანობა საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.
აუდიტორული ფირმის (აუდიტორის) დასახელება	შპს „პირველი აუდიტი“

პლატონ კალოიანი

სს „ინდუსტრია-ინვესტის“
გენერალური დირექტორი

წლიური ფინანსური ანგარიშგების სტრუქტურა

სააქციო საზოგადოების „ინდუსტრია-ინვესტის“ სამეთვალყურეო საბჭოსა და დირექტორების მიერ წარმოდგენილი 2007 სამეურნეო წლის ფინანსური ანგარიშგება ეხება მხოლოდ ამ საწარმოს და წარმოდგენილია შემდეგი სახით:

1. წლიური ბალანსი 2007 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით (დანართი 1.1);
2. მოგება-ზარალის წლიური ანგარიშგება 2007 წლის 31 დეკემბრისათვის (ხარჯების კლასიფიკაცია ფუნქციების მიხედვით) (დანართი №1.2);
3. საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება 2007 წლის 31 დეკემბრისათვის (დანართი №1.3);
4. ფულადი სასსრების მოძრაობის ანგარიშგება 2007 წლის 31 დეკემბრისათვის (პირდაპირი მეთოდი) (დანართი №1.4);
5. სააღრიცხვო პოლიტიკა ახსნა-განმარტებითი შენიშვნები (დანართი №1.5);
6. ახსნა-განმარტებითი შენიშვნები (დანართი №1.6);
7. აუდიტორული დასკვნა სააქციო საზოგადოების „ინდუსტრია-ინვესტის“ 2007 სამეურნეო წლის ფინანსურ ანგარიშგებაზე (დანართი №1.7).

საანგარიშგები ვალუტა – ლარი. ფინანსურ ანგარიშგებაში წარდგენილია რიცხვები ლარის მესხედის სიზუსტით.

პლატონ კალოიანი

სს „ინდუსტრია-ინვესტი“
გენერალური დირექტორი

სს „ინდუსტრია-ინვესტი“
2007 სამეურნეო წლის ანგარიშის
დანართი № 15

სს ინდუსტრია-ინვესტი“

საადრიცხო პოლიტიკა

სააქციო საზოგადოების „ინდუსტრია-ინვესტის“ დირექტორატის მიერ წარმოდგენილი 2007 სამეურნეო წლის ფინანსური ანგარიშგება (შემდგომში - „ანგარიშგება“) შეესაბამება ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებს (შემდგომში - “ფასს-ები“), ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტებისა (შემდგომში - “ბასს-ები“) და მათი ინტერპრეტაციების ჩათვლით, ყველა არსებით ასპექტში.

ანგარიშგებაში აღწერილია საანგარიშგებო პერიოდში – 2007 წლის 1 იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით – საზოგადოებაში მომხდარი ყველა სამეურნეო ოპერაციისა და მოვლენის ფინანსური შედეგები, რომლებიც დაჯგუფებულია მათი ეკონომიკური მახასიათებლების მიხედვით.

ქვემოთ, შენიშვნებში მოცემულია განმარტებები ბალანსში, მოვებისა და ზარალის ანგარიშგებაში, ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგებასა და საკუთარ კაპიტალში ცვლილებების შესახებ ანგარიშგებაში ასახულ თანხებთან დაკავშირებით დამატებითი ინფორმაცია. აქ თავმოყრილია ინფორმაცია, რომელიც მოითხოვება ფასს-ებით, აგრეთვე ის ინფორმაცია, რომელიც აუცილებელია საწარმოს შესახებ ინფორმაციის სამართლიანი წარდგენისთვის ნორმატიული აქტებით დადგენილი წესების მიხედვით.

ფინანსურ ანგარიშგებაში გამოყენებულია იგივე სააღრიცხვო პოლიტიკა და გაანგარიშების მეთოდები, რომლებიც გამოყენებულ იქნა სს ფქსკ „ინდუსტრია-ინვესტის“ მიერ ბოლო, 2006 წლის წლიური ფინანსური ანგარიშგების დროს. აღრიცხვა-ანგარიშგება წარმოებს ფასს-ების შესაბამისად. ანგარიშგების მომზადებისას გამოიყენება კაპიტალის ფინანსური კონცეფცია, ანუ კაპიტალი გაიგივებულია საკუთარ კაპიტალთან. შესაბამისად გამოიყენება კაპიტალის ფინანსური შენარჩუნების კონცეფცია.

